ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2022 წლის 20 აპრილი

ქ. რუსთავი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ფილიალებში ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი „ი“ პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ფილიალებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჩარიცხვა განხორციელდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 2

ქალაქ რუსთავში დროებით რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ – დევნილ სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემთხვევაში, ჩარიცხვა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

მუხლი 3

2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, 2022 წლის 1 იანვრიდან საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქე 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების და ასევე იმ ბავშვების, რომელთაც საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დაწყების შემდგომ მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში უსრულდებათ 6 წელი, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ფილიალებში ჩარიცხვა განხორციელდეს, დადგენილების პირველი მუხლით დადგენილი მოთხოვნების გარეშე.

მუხლი 4

2022 წლის 1 იანვრამდე საქართველოში შემოსული მე-3 მუხლით გათვალისწინებული უკრაინის მოქალეების ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ფილიალებში ჩარიცხვა განხორციელდეს დროებითი ცხოვრების უფლების, ბინადრობის ნებართვის ან/და ბინადრობის უფლების მაძიებლის სტატუსის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ააიპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალებში ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2013 წლის 27 აგვისტოს №199 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 27.08.2013 წ., 010250020.35.160.016183).

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნოდარი შეროზია